# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური  წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34


## საკრებულოს თავმჯდომარის
## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №189

23 ივნისი 2014 წ.

**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო სამაშველო სამსახურის სალიკვიდაციო კომისიის შექმნის შესახებ**

,,სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომართვის (N1147844; 18.06.2014 წ.) ,,ადგილობრივი თვითმმართველოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. შეიქმნას ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო სამაშველო სამსახურის სალიკვიდაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ვლადიმერ ლომთათიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის თავმჯდომარე;
- ზურაბ ჩანტლაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- თეა უჯმაჯურიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ სამსახურის სამართლებრივი ანალიზისა და იურიდიული კონსულტაციის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის წევრი;
- დავით ჯინჭარაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის წევრი;
- გულთმისან ვასაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო სამაშველო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის წევრი;
- ზურაბ შათირიშვილი - მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

- ვალერი ყაჭეიშვილი - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ქონების მართვის საკითხებში - კომისიის წევრი.

2. სალიკვიდაციო კომისიას დაევალოს შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

ა) ლიკვიდაციასთან დაკავშირებული გასატარებელი ღონისძიებების კონკრეტული გეგმა-გრაფიკის, განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების ვადის შემუშავება, მის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების მითითებით;

ბ) სახანძრო სამაშველო სამსახურის საშტატო რიცხოვნების ზუსტი რაოდენობის და მათი სახელფასო ოდენობის დოკუმენტის მომზადება;

გ) სახანძრო სამაშველო სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზი ინვენტარიზაცია (მდგომარეობისა და ნარჩენი საბალანსო ღირებულების განსაზღვრა);

დ) სამსახურის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყოველთვიური გრაფიკის შედგენა. 2014 წლის 1 დეკემბრისათვის დარჩენილი აუთვისებელი სახსრების განსაზღვრა და აღნიშნული ინფორმაციის შსს-ს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტისათვის წარდგენა;

ე) სამსახურებრივი დოკუმენტაციის აღრიცხვა და გადასაცემად მომზადება;

ვ) პირადი შემადგენლობის საკადრო დოკუმენტაციის წინასწარი მოწესრიგება (მოქმედმა თანამშრომელმა კომისიას უნდა წარუდგინოს სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს ფორმა (თანდართული დოკუმენტებით), რომელსაც კომისია მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს შსს-ს კადრების მთავარ სამმართველოს);

ზ) კომისიის მიერ შესრულებული სალიკვიდაციო ღონისძიებების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტების (აქტი, ოქმი და ა.შ.) მომზადება და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისათვის წარდგენა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

*საკრებულოს თავმჯდომარე*

*ანტონ ხუნდაძე*

*ვიზირებულია,*

*იურისტი ედიშერ ჯიბუტი*